ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 482536031

თარიღი:26/12/2025

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" (ს/კ 421271206) 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 17 იანვრის № 48.48250173 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს (ს/კ 421271206) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ48.482334621 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის №33/56 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" (ს/კ 421271206) 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 17 იანვრის №48.48250173 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" დირექტორს (ნ.ნემსწვერიძე).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

221274546

HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი